

ვებტექნოლოგიები



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 3

ვებტექნოლოგიები - Web Technology.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:

06114-ს

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე :

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის

აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”

მიზანი:

პროგრამის მიზანია, ვებტექნოლოგიების სფეროსთვის მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front-ის მხარე).

დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება.

სწავლის ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 46 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 66 კვირა;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდაჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514 სტრუქტურა და მოდულები.

სტრუქტურა და მოდულები

„ვებტექნოლოგიების“ პროგრამა მოიცავს 6 ზოგად სავალდებულო მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით, 9 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 46 კრედიტის ოდენობით.

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 63 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების

დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული

დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 63 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 46 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 93 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 66 კვირა;

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	სამოქალაქო განათლება	2
5.	მეწარმეობა 2	2
6.	უცხოური ენა	5
	ჯამი:	17
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები	4
2.	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	8
3.	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	7

4.	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	5
5.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	6
6.	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	5
7.	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	3
8.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	3
9.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5
	ჯამი:	46
	სულ:	63

სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები:

1. სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი **მუხლი 10.**
2. კვალიფიკაციის მინიჭების პირობები - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი **მუხლი 14.**

პროგრამის ხანგრძლივობაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- ✚ შპს „პრინტ მენი“
- ✚ შპს „დიზაინი“
- ✚ შპს „პმს საკონსულტაციო კომპანია“
- ✚ შპს „პოზიტივი“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას;
- გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით;

- გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით;
- მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან;
- დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი;
- შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები;
- მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით;
- შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით; □ მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი; □ დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება;

პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი:

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.